„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 04.01.2007, მუხ. 33) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ზ^{2}“ ქვეპუნქტი:

„ე.ზ^{2}) ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღი;“.

2. მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) „ო^{3}“ ქვეპუნქტი:

„ო^{3}) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემა;“;

ბ) „პ^{1}“ ქვეპუნქტი:

„პ^{1}) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 15^{6} პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის გაცემა;“;

გ) „რ^{2}“ ქვეპუნქტი:

„რ^{2}) საქართველოს მოქალაქის მიერ ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემა;“.

3. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ^{11}“ და „მ^{12}“ ქვეპუნქტები:

„მ^{11}) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემისთვის გაწეული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე – 10 ლარი;

მ^{12}) საქართველოს მოქალაქეზე ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემისთვის გაწეული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე – 10 ლარი;“.

4. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^{6} და 4^{7} პუნქტები:

„4^{6}. საქართველოს მოქალაქეზე ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში ნებართვის გაცემისთვის დაჩქარებული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე 40 ლარია.

4^{7}. უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში ნებართვის გაცემისთვის დაჩქარებული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე 40 ლარია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 თებერვლიდან.

თბილისი,

17 დეკემბერი 2025 წ.

N1270-IVმს-XIმპ